სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 124 (238) | პარასკევი, 10 ნოემბერი | 1944 წ.

საბჭოთა სახელმწიფო საზღვარი, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს ვერაგულად დაარღვიეს ჰიტლერელთა ურდოებმა, აღდგენილია მთელ მანძილზე შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე.

(უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის № 220 ბრძანებიდან).

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო **სტალინ!**

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, დედაქალაქის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავისადმი, ქ. მოსკოვის მშრომელებისა და მოსკოვის გარნიზონის სახელით მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ხალხთა დიდ ბელადს, წითელი არმიის ბრძენ მხედართმთავარს!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ იმ მომენტში, როდესაც წითელმა არმიამ ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და ფაშისტური ტყვეობიდან გაათავისუფლა მილიონობით ჩვენი ძმა და და. ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა კვლავ ამაყად ფრიალებს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მთელ სივრცეებზე.

წითელი არმია ორი წლის მანძილზე აწარმოებს ისტორიაში უმაგალითო შეტევას. იყო დრო, როდესაც მტერი მოსკოვს ემუქრებოდა. ახლა ჩვენი არმია ჰიტლერელ დამპყრობლებს ანადგურებს გერმანიის ტერიტორიაზე და გზას იკაფავს ბერლინისაკენ. იყო დრო, როდესაც მტერი ვოლგას უახლოვდებოდა. ახლა ჩვენი არმია გერმანელებს ურტყამს ნემანისა და ვისლის, ტისისა და დუნაის ნაპირებზე. წითელმა არმიამ შეასრულა თავისი წმიდა მისია ჩვენი სამშობლოს მიწა-წყლის განთავისუფლებისა და ამჟამად თავისუფლება მიაქვს ევროპის დამონებული ხალხებისათვის.

დიდება წითელ არმიას—განმათავისუფლებელს, დიდება მის მებრძოლებს, სერჟანტებს, ოფიცრებს, გენერლებსა და მარშლებს. დიდება მის გენიალურ მხედართმთავარს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **სტალინს!**

წითელ არმიასთან ერთად სოციალისტური სამშობლოს დასაცავად აღსდგა სსრ კავშირის ყველა ხალხი. წითელ არმიას აძლიერებს მძლავრი საბჭოთა ზურგი. თქვენი **მოწოდებით**, ამხანაგო **სტალინ**, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო. სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნეს თავისი მუშაობა და სავსებით უზრუნველყოფენ ფრონტს იარაღით, საომარი მასალით, საჭურვლით და სურსათით. ჩვენი ქვეყანა **ომობს** და აშენებს. ომის განმავლობაში ამუშავებულია ათასობით ახალი საწარმო. აღდგენის პროცესშია მეურნეობა და ცხოვრება გერმანელ ოკუპანტთაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე. ბოლშევიკების პარტია, თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, აღაფრთოვანებთ ზურგის მშრომელებს უმაგალითო სამხედრო საქმეებისათვის.

დიდება საბჭოთა ხალხს, დიდება ფრონტზე და საბჭოთა ზურგში გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხანაგ **სტალინს!**

უმძლავრესი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ სამამულო ომის პირველსავე დღეებში აქედან, მოსკოვიდან, თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, წითელ არმიას, საბჭოთა ხალხს მიმართეთ სიტყვებით, რომლებიც აღსავსე იყვნენ ფაშისტ ყაჩაღებზე ჩვენი მომავალი გამარჯვების რწმენით: „ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში".

ომის მსვლელობაში წითელი არმია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისათვის რისხვად იქცა, მან ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან განდევნა და მის საკუთარ ბუნაგში შეაგდო დაჭრილი გერმანელი მხეცი. ჩვენს ქუჩაშიც დადგა დღესასწაული!

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კიდევ მოგველის მძიმე ბრძოლები. გამხეცებული მტერი გააფთრებით გვიწევს წინააღმდეგობას. ამ დღეებში, როდესაც წითელი არმია გადამწყვეტ ბრძოლებს იწყებს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, ჩვენ საზეიმო ფიცსა ვდებთ თქვენს წინაშე, ამხანაგო **სტალინ**: მთელ ჩვენს ძალებს მოვანდომებთ ფრონტისადმი დახმარების საქმეს, კიდევ უფრო თავდადებით ვიშრომებთ მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ **სტალინს!**

ნ. მ. რუხაძეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით **ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძეს** მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

ვ. ნ. ჯანჯღავას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავას** მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

„დიდი დონბასი"

განახლდა „დიდი დონბასის" პრობლემის გეოლოგიურად დაკავშირებული გეოლოგიურ-საძიებელი სამუშაოები. მიზანი ამ სამუშაოებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ომამდე იყო დაწყებული, დონეცის აუზის ნახშირიანი ფენების გავრცელების საზღვრის შესწავლაა. აზოვ-შავი ზღვის გეოლოგიურმა სამმართველომ მოაწყო დონბასის კომპლექსური ექსპედიცია, რომელიც დონის, სალის და მანიჩის ველებზე სწავლობს დონბასის აღმოსავლეთ გაგრძელების გეოლოგიურ აგებულებას, აზუსტებს ნახშირიანი ფენების გავრცელების საზღვარს. (საქტაგი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

9 ნოემბრის განმავლობაში მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მეზეჩატი, იზრიცი, ბელდი, მეზოკერესტეში, ხენტიშტვანი, ეზერფარმოში, მეზეტარკანი, ბეშენიოტელეკი, პოროსლო, კემლე, ტისანანა, კიშ-კერე, ბეშენსეგი, რეკაში, ცეგლედ-ბერცელი, ირშა, ალბერტი და რკინიგზის სადგურები მეზეჩატი, პოროსლო, კიშ-კერე, ირშა.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

8 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების შედეგად, დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 19 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

* *

უნგრეთში, მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა, ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. N შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მდინარე ტისა და ხელთ იგდეს პლაცდარმი მის დასავლეთ ნაპირზე. გერმანელები ცდილობდნენ მდინარეში გადაეყარათ ჩვენი ჯარები და ზედიზედ რვა კონტრიერიში მოიტანეს. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა მტრის კონტრიერიშები მოიგერიეს, წინ წაიწიეს 20 კილომეტრით და დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი მეზეტარკანი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა მდინარე ტისა გადალახეს და ბრძოლებით მიიწიეს დასავლეთისაკენ. განადგურებულია უნგრელთა 27-ე ქვეითი პოლკი, რომელმაც ორი დღის ბრძოლებში თავისი პირადი შემადგენლობის სამი მეოთხედი დაკარგა. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქ ცეგლედის ჩრდილო-დასავლეთით. მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდმა დაჯგუფებამ სცადა ზურგიდან შემოევლო ჩვენი ჯარებისათვის. მტერს ეს განზრახვა მარცხით დაუმთავრდა. საბჭოთა ნაწილებმა გერმანელებს ძლიერი კონტრდარტყმა მიაყენეს და უკუაქციეს ისინი. ბრძოლის ველზე დარჩა მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა და ოფიცერთა ათასზე მეტი გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 14 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ტყვედ წამოყვანილია 800 გერმანელი და უნგრელი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი სხვადასხვა უბანზე ცდილობდა ჩვენი პოზიციების დაზვერვას. საბჭოთა მებრძოლებმა ავტომატურ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაანადგურეს ჰიტლერელები და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მათ. ერთ უბანზე ჩვენი მზვერავების ჯგუფი ღამით შეიჭრა გერმანელების განლაგებაში. მამაცმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი და ორი ბლინდაჟი ააფეთქეს. იქ მყოფი გერმანელები მოსპობილ იქნენ. მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვე და თავის ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ უჟგოროდის სამხრეთ-დასავლეთით, მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა, არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ, სცადა იერიში მიეტანა ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა ქვეითჯარისკაცებმა სწრაფი კონტრიერიში მიიტანეს ჰიტლერელებზე და უკუაქციეს ისინი. მოსპობილია მტრის 80 ჯარისკაცი და ოფიცერი, წამოყვანილია 30 ტყვე. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა რამდენიმე საცეცხლე წერტილი ჩაახშეს და გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი გაფანტეს.

ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებმა გერმანელთა წყალქვეშა ნავი ჩაძირეს.

წითელდროშოსანი ბალტიის ფლოტის ავიაციის მფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტზე და ჩაძირეს იგი.

* * *

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მოხსენებამ და ბრძანებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის შესახებ უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელარმიელთა, წითელფლოტელთა, სერჟანტთა, ოფიცერთა და გენერალთა შორის. ზურგის და ფრონტისპირა გარნიზონებში, აგრეთვე ფრონტის მრავალ უბანზე გაიმართა მასობრივი კრებები, მიტინგები და ჯგუფური საუბრები.

ბელორუსიის მე-3 ფრონტზე, N გვარდიული ნაწილის მიტინგზე, სიტყვა წარმოსთქვა პირიგმა ზადიანოვმა: „1941 წელს,—ამბობს იგი,—ჩვენ 7 ნოემბერს სერპუხოვის რაიონში ვხვდებოდით. ამ დროს მტერი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს—მოსკოვს ემუქრებოდა. ჩვენ განვდევნეთ ჰიტლერელები ჩვენი მიწა-წყლიდან და ახლა დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს გერმანელთა ტერიტორიაზე ვდღესასწაულობთ. წითელმა არმიამ და ჩვენი მოკავშირეების არმიებმა საუკეთესო პოზიციები დაიკავეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმისათვის. მომავალ ბრძოლებში ჩვენ კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობითა და ვაჟკაცობით ვიომებთ. გამოვთქვამ რა ბატალიონის მებრძოლთა და ოფიცერთა ნება-სურვილს, პირობას ვაძლევ, რომ ჩვენი გვარდიელები ღირსეულად და ბოლომდე შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე".

* * *

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტზე, მიტინგზე გამოსულმა წითელარმიელმა აბდულა ისხოზიამ სთქვა: „ბრძნულ სტალინურ სიტყვებს რომ ისმენ, ახალი ძალისა და ენერგიის მოქცევას გრძნობ. წითელი არმია უკვე ანადგურებს გერმანელებს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. ჩვენი ფრონტის ჯარები მუსრს ავლებენ გერმანელთა დივიზიებს ტუკუმსისა და ლიბავას შუა. პირობას ვაძლევთ ჩვენს საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ გავჟლეტთ ჰიტლერელებს, ცოცხალს არ გავუშვებთ მათ საბჭოთა ბალტიისპირეთიდან".

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე, N ნაწილში გამართულ მიტინგზე, გამოვიდა სერჟანტი კოპმაროვი. მან განაცხადა: „ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ გაათავისუფლა საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი დამპყრობლებისაგან. ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის წინამძღოლობით ჩვენ იერიშს მივიტანთ გერმანიაზე და მოვსპობთ მტერს მის საკუთარ ტერიტორიაზე". როდესაც ამხანაგ სტალინის მოხსენება რომ მოისმინეს, N ნაწილის სნაიპერები აძა, პროკოპჩუკი, გრიშჩუკი, ბეგუკი, ნატინგენოვი ცეცხლის პოზიციებზე გავიდნენ და ერთი დღის განმავლობაში 19 ჰიტლერელი მოსპეს. მზვერავმა ამხ. მანგურინგმა 6 ნოემბერს ღამით ტყვედ წამოიყვანა გერმანელი მეტყვიამფრქვევე თავის იარაღიანად.

N ნაწილის მებრძოლები და ოფიცრები (უკრაინის მე-4 ფრონტი) მიტინგზე შეიკრიბნენ ჩეხოსლოვაკიაში, მთების პატარა ხეობაში. პირველმა სიტყვა აიღო ზემდეგმა კოვალენკომ. „გასულ წელს,—სთქვა მან,—წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა ჰიტლერელებს. ჩვენი ნაწილის მებრძოლები ანადგურებდნენ და ჟლეტდნენ გერმანელ ოკუპანტებს კიშინიოვ-იასის რაიონში, როდესაც საბჭოთა ჯარები გარს შემოერტყნენ გერმანელთა 22 დივიზიას. ჩვენმა ბატალიონმა ბრძოლებით გადალახა კარპატის მთაგრეხილი. ჩემი ოცეულის მებრძოლებმა 150 გერმანელი გაჟლიტეს, ხოლო მტრის 200 ჯარისკაცი ტყვედ წამოიყვანეს. ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ ისეთ დარტყმებს დავატეხთ თავს საძულველ მტერს, რომ ვერასოდეს წელში ვეღარ გასწორდეს".

უკრაინის მე-3 ფრონტზე, N ნაწილის მიტინგზე, მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა ლეიტენანტმა ზუბრიცკიმ. მან სთქვა: „მთელ ჩვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში გაისმა ჩვენი ბელადისა და დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხმა. მის მოხსენებაში შეჯამებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის შესანიშნავ გამარჯვებათა შედეგები. ყველა ამ გამარჯვებას ჩვენ უწინარეს ყოვლისა ამხანაგ სტალინს უნდა ვუმადლოდეთ. წითელი არმიის წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა—მოკავშირეთა არმიებთან ერთად დაამთავროს ფაშისტი მხეცის განადგურება მის საკუთარ ბუნაგში. ვიცით, რომ ეს ძალთა ახალ დაძაბვას მოითხოვს. ნაწილის მებრძოლთა, სერჟანტთა და ოფიცერთა სახელით პირობას ვაძლევ ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ბელადისეულ ამოცანას".

ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან (სტალინი)

მადლობა დიდ სტალინს

ჩემს ქალაქს შეიძლება არც კი შეეფერებოდეს ახალგაზრდული აღფრთოვანება, მაგრამ საშობლოსადმი სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ არ შემიძლია ახალგაზრდასავით არ გავიხარო, ხაზგასმით ლიეს. საბჭოთა კავშირის კიდით-კიდემდე გაისმის გამარჯვების საზეიმოდ ჩამოკრული სასიხარულო დაძახილი: ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია!.. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ცოფიანი მტერი სიცილიდა ჩვენს მიწა-წყალს, ზედლორუსიას, ყუბანს, იდგა სტალინგრადის კედლებთან და მოძერებოდა კავკასიის უღელტეხილებისაკენ?!.. მაშინ თითქოს ჩვენს თავზე წვიმოდა შავი ღრუბლი.

ჩვენი მწუხარე ბელადისაკენ იყო მიმართული, ჩვენი იმედი დიდი სტალინი იყო. ჩვენ ყველანი შემოვკრბით ჩვენი მამის, ჩვენი მხედართმთავრის ირგვლივ, რათა შესძლებოდა მას მტკიცედ დაგვყრდნობოდა ჩვენ, მისივე ნებისყოფით აღზრდილ და გამობრძმედილ შვილებს.

სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა ყოველთვის ჩვენი გამარჯვების საწინდარი იყო. 1942 წელს, როდესაც საზიზღარი გერმანელები სტალინგრადს და კავკასიის კარიბჭეს მოადგნენ, მე მტკიცედ მჯეროდა, რომ სტალინი გადაარჩენდა ჩვენს მხარეს და მთელს ჩვენს ქვეყანას ველური ფაშისტებისაგან. ასეც მოხდა. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ დაიწყო გერმანელთა განდევნა ჩვენი ტერიტორიიდან. სასახელოდ შესრულებული იქნა ჩვენი სამშობლოს დაცვის გენიალური სტალინური გეგმა.

გამაოცებლად ღრმა იყო ბელადის განჭვრეტა, რომელმაც 1942 წლის სამოქალაქო ბრძანებაში სიტყვა „წითელი არმიის წარმატებათა მეორებით სამამულო ომი შევიდა ახალ პერიოდში,—ჰიტლერული საზიზღრობისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების პერიოდში".

მახსოვს, როდესაც ეს ბრძანება ჩვენს დემოში წავიკითხეთ, ვიღაცწყვიტეთ ღირსეულად გვეპასუხა ახალი საწარმოო საქმეებით. ყოველი მემანქანე ისეთი ოსტატობით უვლიდა ორთქლმავალს, რომ თუ ომამდე ორთქლმავალი შეკეთებიდან შეკეთებამდე გაირბენდა მხოლოდ 3.000–5.000 კილომეტრს, ბრძანების შემდეგ ეს ციფრები გადავაჭარბეთ. ჩემი ბრიგადიდან მემანქანე ჩიქოვანმა თავის ორთქლმავლით 50.000 კილომეტრი გაირბინა, ჩემმა გამო—გიორგი წიკლაურმა—100.000 კილომეტრი, მემანქანე დუნდუამ კი 150.000 კილომეტრი. ამ ორთქლმავლებს გადამქონდათ საომარი მასალა და გადაჰყავდათ ჯარები. შეკეთებაში ჩაყენება—ბრძოლის ველზე საბრძოლო ცეცხლის შეწყვეტას ნიშნავდა.

დეპოში ყოველ დღე ვხვდებოდი ბორბლების მწარმოებ ოსტატ გიორგი ბერუაშვილს, რომელსაც მკერდზე ეკეთა მედალი „კავკასიის დაცვისათვის", ერთის შეხედვით თითქოს მისი საქმე პატარაა, გამარჯვებისათვის კი იგი აუცილებელი იყო, რათა ამ ბორბლებს შეუფერხებლად ებრუნათ ზურგიდან ფრონტისაკენ და ფრონტიდან ზურგში. და როდესაც ჩვენ ტრელონები მიდიოდნენ, არც ძალზე ვფიქრობდით, არც ჭამაზე. ჩვენი ერთადერთი ფიქრი იყო, მიგვეწოდებინა ფრონტისათვის ის, რასაც იგი საჭიროებდა, იქიდან კი დაჭრილები გადმოგვეყვანა. მახსოვს მე, მაშინ მრავალი ღამე გავათენე, ვაცილებდი ფრონტზე მიმავალ საომარ ეშელონებს. გადაყვანილი მყავს 1.500 შემადგენლობა უავარიოდ, დაუზიანებლად, საწვავი მასალის გადაჭარბებით.

დიდი ბელადი ხედავს მთელს ჩვენს ქვეყანას, ყოველ ადამიანს. მან იცის ვინ როგორ მუშაობს, და როდესაც მე სოციალისტური შრომის გმირობა მომანიჭეს, გამახსენდა 1940 წელს მოწვეული უმაღლესი საბჭოს სესია, იქ მე სტალინს შევხვდი. მან მტკიცედ ჩამომართვა ხელი და გულთბილად მკითხა „ჯანზე როგორა ხარო".

—კარგად,—უპასუხე მე. ამხანაგი სტალინი დაინტერესდა ჩემი წლოვანებით. მე მაშინ 56 წლისა გახლდით, მაგრამ ასე უპასუხე: დავიბადე 1917 წელს 7 ნოემბერს მეთქი".

სტალინს გაეღიმა ამ სიტყვებზე და მკითხა: „ვერ არ არის რომ დაისვენოთ?"—„არა, დასვენება ჯერ ადრეა,—უპასუხე მე,—მუშაობა კიდევ შემიძლია".

წელს კიდევ ვნახე ამხანაგი სტალინი უმაღლეს საბჭოს სესიაზე. მან მომილოცა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა „შენ მართალი იყავი, მუშაობა კიდევ შეგძლებია".

და თუ მე, გამარჯვების საქმეში ამ მცირე წვლილისათვის ასეთი მაღალი და საპატიო წოდება მომანიჭეს, განა შეიძლება გავზომოთ ის უდიდესი გმირული საქმე და ხალხის მადლობის კეთილშობილური გრძნობა თავის საყვარელი ბელადისადმი, უდიდეს მხედართმთავრის მარშალ სტალინისადმი, რომელმაც ჩვენი ხალხი იხსნა ფაშისტური მონობისაგან და ღებულობს იმის ზრუნვაში, რომ ჩვენი სამშობლო საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოს!

წითელმა არმიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს საყვარელი, მზრუნველი მამა, დიდი სტალინი, გერმანელ დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა ჩვენი ძმები უკრაინელები, ბელორუსელები, მოლდაველები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები და კარელები. 16 ძმური რესპუბლიკა კვლავ შეიკრიბა ერთ მეგობრულ საბჭოთა ოჯახში. ჩვენ მადლობის გრძნობით ალსავსენი ვართ სტალინისადმი. და მთელი ჩვენი სიცოცხლე წარმოადგენს და გამოხატავს დიდი სიყვარულისა და მადლობის გრძნობას და ლენინ-სტალინის პარტიის დიად იდეებისადმი ერთგულებას.

სოციალისტური შრომის გმირი
ა. წიკლაური.

მზად ვართ ბრძოლისათვის

მწყობრი რიგებით განლაგდნენ ნ ნაწილის მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები. გაისმა კომანდა:

— სწორდი! დროშასთან!

მეომრები შესცქერიან მედროშეს, რომელსაც მიაქვს პოლკის წმიდათაწმიდა. ამ ამაყ დროშის ქვეშ იბრძოდა პოლკი კავკასიის მთის კალთებზე. ბრძოლის კრიტიკულ მომენტში მრავალჯერ უნახავთ მებრძოლებს ეს დროშა, რომელიც მათ გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა.

დღეს კი მეომრებს თავი მოუყრიათ, რომ მოისმინონ საყვარელი ბელადის დიდებნის ნანატრი სიტყვები. პოლკის მეთაური კითხულობს უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებას. მებრძოლები სულგანაბული ისმენენ უდიდესი მხედართმთავრის ბრძნულ სიტყვებს. საზეიმო ვითარებაში მოისმის გამოკვეთილი სიტყვები: „ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეშვიდე წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი სამშობლოს მტრებზე წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა ვითარებაში. წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის გმირული ღონისძიებებით ჩვენი მიწა-წყალი გაწმენდილია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან".

ბრძანება აჯამებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 27 წლის განმავლობაში ბრძოლის შედეგებს და სახავს ამოცანებს ჰიტლერული არმიის სრული განადგურებისათვის. „ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაერთიანებულ ერთა არმიების ხწრაფი შეტევით უმოკლეს ვადაში გავანადგუროთ ჰიტლერული გერმანია".

უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების კითხვა დამთავრებულია. გუგუნებს „ურა" დიდი სტალინის პატივსაცემად, მისი ხელმძღვანელობით წითელი არმიის მიერ მოპოვებულ უდიდეს გამარჯვებათა პატივსაცემად.

იქვე, პლაცზე შესდგა მიტინგი. დიდი აღფრთოვანებით გამოდიან რიგითი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები. ისინი ფიცს სდებენ, რომ არ დაზოგავენ მთელ თავიანთ ძალღონეს ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანების შესასრულებლად.

— უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება,—ამბობს უფროსი სერჟანტი გაფრინდაშვილი, — მოგვიწოდებს ახალ გამარჯვებებისაკენ, ახალ საბრძოლო წარმატებებისაკენ. ვფიცავ, რომ დაუცხრომლად სრულვყო ჩემი საბრძოლო ოსტატობა, ისე, როგორც გვიბრძანა დიდმა სტალინმა.

— გერმანია უფსკრულის პირასაა,— ამბობს კაპიტანი უხაძე,—მაგრამ იგი ჯერ კიდევ ძლიერია. საჭიროა მძლავრი დარტყმები, რომ ჰიტლერული გერმანია გადავჩეხოთ უფსკრულში. ფიცს ვაძლევთ საყვარელო სამშობლოვ, დიდო სტალინო, რომ სიცოცხლესაც კი არ დავზოგავთ მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად.

კვლავ გაისმის ძლიერი „ურა" გამარჯვების მარშლის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

(ჩვენი კორ.).

გამარჯვების დროშას ავაფრიალებთ ბერლინში

ჩვენი გულისყური მიპყრობილია დიდი მხედართმთავრისადმი, საყვარელ სტალინისადმი. კვლავ მოგვესმა მისი ბრძნული სიტყვა.

ბელადის სიტყვას ჩვენ ყოველთვის მტკიცედ ვასრულებდით, ამიტომაც მივდიოდით წარმატებებისა და გამარჯვებების გზით. დიდი მარშალი მოგვიწოდებდა სრულვყოთ ჩვენი მეომრული ოსტატობა, დავეუფლებოდით ჩვენს იარაღს, და ჩვენც პირნათლად ვასრულებდით ამ მითითებას. ამხანაგმა სტალინმა № 70 ბრძანებაში ამოცანად დაგვისახა გაგვეწმინდა ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი ჰიტლერული საზიზღრისაგან, წითელმა არმიამ ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა.

დიდმა ბელადმა ჩვენ დაგვისახა ახალი ამოცანა — გამარჯვების დროშა ავაფრიალოთ ბერლინში. ეს დიდი და საპატიო საქმეა. და ჩვენც კვლავ დაბეჯითებით განვაგრძობთ ჩვენი საბრძოლო-პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას, რომ ისევე გაბედულად და ოსტატურად ვურტყათ ბუნაგში შემძვრალ მტერს, როგორც ურტყამენ ჩვენი სახელოვანი ფრონტელი მეომრები.

ასეთ ღირსშესანიშნავ დღეს — დიდი ოქტომბრის XXVII წლისთავზე, როდესაც გულის სიღრმეში მწვდება ბელადის სიტყვები, როდესაც მადლობის სიგელს ვიღებ ჩემი პატარა, მაგრამ შენაერთის სარდლობის მიერ დიდად შეფასებულ საბრძოლო წარმატების გამო, პირობას ვიძლევი ამ წლის ბოლომდე მოვამზადო ორი სნაიპერი.

დიდი სტალინის წინამძღოლობით გმირი წითელი არმია ახლო მომავალში გამარჯვების დროშას ააფრიალებს ბერლინში.

სნაიპერი ნ. წირღვავა.



ფრონტზე წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებათა და ზურგში მუშების, გლეხების, ინტელიგენციის დიდ წარმატებათა აღსანიშნავად, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების აღსანიშნავად, 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის 27 წლისთავზე საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისში მიცემული იქნა სალუტი 24 საარტილერიო ზალპით.

საბჭოთა კავშირის გმირი შალვა ნესტორის-ძე ქირია

საქართველოს მშრომელებმა დიდი კმაყოფილებით შეიტყვეს, რომ სტალინურ შევარდენს, მაიორ შალვა ნესტორის-ძე ქირიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

შალვა ქირია დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში, დედამისი ადრე გარდაიცვალა და ობოლი შალვა ბიძამ გამოზარდა. სიმღერებს მან ცაიშში გაატარა. ბიძა ყველა ... ... და,

როგორც შალვამ სამხედრო სასწავლებელში სწავლა მოინდომა, თბილისში ჩამოიყვანა და ... სასწავლებელში შეიყვანა.

შალვა ქირიამ დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, ერთხანს ნაწილშიც მსახურობდა, მაგრამ ამავე დროს ავიაციაზე ოცნებობდა, ეს ოცნება მან განახორციელა. 1931 წელს შალვა ქირია უკვე მფრინავი იყო.

მშვიდობიანობის წლებში შალვა ქირია განუწყვეტლივ მუშაობდა თავისი სამხედრო ცოდნის ამაღლებისა და სრულყოფისათვის. ამავე დროს მან ათობით ახალგაზრდა მფრინავი აღზარდა, გადასცა მათ თავისი ცოდნა და გამოცდილება. ხელმძღვანელობდა ... ... თავი სამამულო ომის ფრონტებზე.

თვითონ ქირიამ განსაკუთრებით ისახელა თავი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. თავისი ... ... ერთ დღეში რამდენიმე საბრძოლო გაფრენას ახდენს, მუდამ მიჰყავს მოიერი-

შე ბომბდამშენებს, იფარავს ქვეით ჯარს.

იყო ასეთი შემთხვევა: ქირიამ მიიღო დავალება დაეფარა ქვეითი ჯარის წყობები. „იაკოვლევთა" ჯგუფი ჰაერში ავიდა, უცებ ქირიამ დაინახა მტრის 50 ბომბდამშენი, რომლებსაც 12 „მესერშმიტი" იფარავდა და რომლებიც ჩვენი ჯარების დასაბომბად მიდიოდნენ. შალვა ქირიამ გაბედულად წაიყვანა თავისი ჯგუფი მტრის ჰაერო ძალების წინააღმდეგ. პირველი იერიშისთანავე ქირიამ ჩამოაგდო მტრის მეწინავე მანქანა. ფაშისტი მფრინავები დაიბნენ. ამით ისარგებლეს ჩვენებმა და უფრო მძლავრად შეუტიეს მტერს. ჰიტლერელებმა ბომბები უწესრიგოდ ჩამოყარეს და გაიქცნენ.

ბრძოლებში გამოწრთობილი, გამოცდილი, ენერგიული მფრინავი შალვა ქირია ბევრჯერ გამარჯვებული გამოსულა ულრესად რთული მდგომარეობიდან. ერთხელ მასზე იერიში მოიტანა 36 ბომბდამშენმა, რომლებსაც „ფოკე-ვულფები" ახლდნენ. ბრძოლამ, რომელიც დიდ სიმაღლეზე, ღრუბლებში მიმდინარეობდა, სულ რამდენიმე წუთს გასტანა. ზედიზედ ელვისებური მიჭრობით იერიშები ჩვენს მამაც მფრინავებს. ამ ბრძოლიდან ქირიამ უვნებლად გამოიყვანა თავისი ჯგუფი, თვითონ კი ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

მიმდინარე წლის მაისამდე შალვა ქირიას ჰქონდა 170-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა. მან ჩაატარა 45 საჰაერო ბრძოლა, ჩამოაგდო გერმანელთა 17 თვითმფრინავი. ამ ხანებში მაიორი შალვა ქირია უკვე სამი წითელი დროშის ორდენით იყო დაჯილდოებული.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი შალვა ქირიამ რუმინეთში, ქალაქ იასის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე რაიონში გაჩაღებულ გაფართოებულ საჰაერო ბრძოლებში.

6 ივნისს „იაკოვლევთა" ჯგუფმა მაიორ ქირიას მეთაურობით ფაშისტ სვავებთან საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდო მტრის სამი მანქანა, აქედან ერთი პირადად ქირიამ მოსპო.

მამაცი სტალინური შევარდნის საბრძოლო ანგარიში დღითიდღე იზრდება. ქართველი ხალხის გმირი შვილი ღირსეულად ასრულებს თავის ვალს, მტკიცედ იცავს სამშობლოს ცას ფაშისტი სვავებისაგან.

ნინო მშველიძე

საბჭოთა კავშირის გმირებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი უშვებს ორ ახალ საფოსტო მარკას. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია სახელგანთქმული მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი საფრონოვი, მეორეზე — საბჭოთა კავშირის გმირები კლოჩკოვი და პანფილოვი.

ორივე მარკა 60 კაპიკიანი. ახალი მარკები საფოსტო ხმარებაში შევიდის. (საქინი).

ისწავლე ოსტატურად შენიღბვა

წითელი არმიის საბრძოლო წესდება თითოეული მეომრისაგან მოითხოვს ნიღბის და შენიღბვის წესების მტკიცე დაცვას. წესდების ეს მოთხოვნა შემთხვევითი როდია. საბრძოლო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კარგად შენიღბული მებრძოლის უპირატესობა მოწინააღმდეგის მიმართ ისეთივეა, როგორც თვალხილულისა ბრმის მიმართ.

ორიოლის მისადგომებზე შეტევისას ჩვენს ბატალიონს მიეცემოდა ჰქონდა ამოეცნო ჩაეხშო მტრის საცეცხლე წერტები ქალაქის განაპირა უბანში. სროლა დაბურული პოზიციიდან სწარმოებდა, ხატარის მეთაურმა მიაწოდა ცეცხლის კორექტირება, ჯერ კიდევ მნელოდა. ხოლო გავსწიე. თან წავიღე ტელეფონი და გათენებისას ერთ-ერთი შენობის მაღლობზე ვიყავ. მაღლობი სახახვეროდ მტრის განლაგებაში იყო. მეთვალყურეობა გაფრთხილებლობა დაღუპავს მიქადდა. ეს ბუნქში ჩავწექი, ქარი, სისველე ჩაიცა ფოთლებით, შტოებით და მწვანე ბალახით შევნიღბე დაბეჯითებით და ოსტატურად. რამდენჯერ ჩამიქროლეს ჩემს ახლო გერმანელმა მოტოციკლისტებმა, მაგრამ ვერ შემნიშნეს. მე კი ნათლად ვხედავდი თუ ჩვენი ჭურვები როგორ სპობდა საცეცხლე წერტებს ახლოს. ეს თანდათან გეობლიდებოდი მიზანს, რამდენიმე გასროლის შემდეგ საცეცხლე წერტები ჩახშობილ იქნა. ასეთი შემთხვევა მრავალჯერ მქონდა. დაზვერვაში ყოფნისას მტრის ტყვიისაგან რამდენჯერ ვუყურებდი ... შენიღბვას თავიდაცვაში რამდენი ფაშისტი ... ... მტერი თუ ... ... შენიღბვის ოსტატურად დაუფლებას უნდა ...

სამამულო ომის ფრონტებზე, ორი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეგანაყოფს ბრძოლა უხდებოდა თავდაცვაშიც, შეტევაშიც და მანევრ ბრძოლებშიც, და მე დავრწმუნდი, რომ ბრძოლის ყველა სახეობაში შენიღბვასაც თავისებური ხერხები აქვს.

ამ მაგალითად, შენ შეტევაში იმყოფები, როცა წინ მიიწევ, ან გარბიხარ, უკადრ გამოიყენო ადგილი (ფერდი, ბუჩქნარი, თხრილი, ჭურვების ორმოები და სხვ.). ეცადე ... ... რომელიც შენი ... ... გადარბენა სწრაფი უნდა იყოს, ... და რიგი შემორბენა, მოწყვეტილად დავეცი მიწაზე, ... რათა მტერმა ვერ შეძლოს შენი გამოჩენა.

ზოგიერთი მებრძოლი ისეთნაირად „ინიღბება", რომ მტრისათვის უფრო შესამჩნევი ხდება. აი ფაქტი. ქვეცადმიწოებით გამოვედი ველზე. უმცროსმა სერჟანტმა ხმლიძემ ქუდზე და სანგრის ჩანაზე ხის შტოები გაიკეთა და ... „შენიღბა", მაგრამ ტრიალ მინდორზე იგი შორიდანვე იყო შესამჩნევი, მეთაურმა შენიშვნა მისცა. მან იგრძნო თავისი შეცდომა და შენიღბვის შესაფერი ხერხი აირჩია.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შენიღბვას თავდაცვის დროს. გაიხსენე საბრძოლო წესდების სიტყვები: „თვეულის ბოზიცია უნდა იყოს მოწინააღმდეგის სამელეთო და საჰაერო თვალთვალისაგან დაფარული". თუ შენ მოხერხებულ ადგილას ჩასანგრდები, მტერი ვერ გიპოვის. სამაგიეროდ ყოველი მისი მოქმედება შენ თვალწინ ხდება და შეგიძლია აირჩიო მოხერხებული მომენტი მის მოსასპობად.

თუ სანგარს გასჭრი ბუჩქნარიან ადგილმდებარეობაში, მაშინ ბრუსტვერზე დარგე ხელოვნური ბუჩქები, ან ბალახითა და ფოთლებით შენიღბე იგი, მაგრამ არ შეიძლება ისეთი ხერხის მოტიტებულ გარაკზე გამოყენება.

მტრის შეღვიმაში შეყვანის მიზნით ხშირად მიმართავენ ცრუ სანგრების მოწყობას, მაგრამ ზოგჯერ ამ სანგრებს განგებ არ ნიღბავენ, რაც არაა სწორი. მტერი სანგარს ადვილად შეამჩნევს, და განა მას აკლია ეშმაკობა? საჭიროა ცრუსანგრების ფორმა ყოველმხრივ შეესაბამებოდეს ნამდვილს, ამავე დროს ამ სანგრებში უნდა მოეწყოს სახელდახელო საშუალებებით დამზადებული და წითელი ... შეღებილი დაზგის ტყვიამფრქვევის, ნაღმსატყორცნის ან ტანკსაწინააღმდეგო თოფის მაკეტები.

არანაკლებ საჭიროა შენიღბვის დაცვა მარშის დროს ან დასვენებაზე. მტრის თვითმფრინავი ადვილად აღმოაჩენს, თუ ქვემეხი, ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი და სხვა საბრძოლო იარაღი სათანადოდ არ გაქვს შენიღბული.

რა თქმა უნდა, ყველა ეს მუშაობა უნაყოფოა, თუ შენში მტკიცედ არაა გამჯდარი შენიღბვის დისციპლინა. ზიხარ სანგარში, ფიქრობ რომ კარგად ხარ შენიღბული და ამ დროს ბაპიროსი გააბოლე, ან შეეცადე და ცეცხლი დაანთე, ეიბნელდა და ფანარი გაანთე — ამით ხომ მტერს ნიშანს აძლევ.

წაიკითხე საბრძოლო წესდება, დაიზეპირე იგი, განუხრელად შეასრულე მისი მოთხოვნა, შენ ყოველთვის უძლეველი და მამაცი მეომარი იქნები.

ორდენოსანი ზუმღევი ა. ჟანუჟაძე.

პროფ. ა. ვ. ბაზილევიჩი



(გაგრძელება*)

რუსეთის არმია რომ დაუბრუნდა სუვოროვულ საბრძოლო სკოლის ტრადიციებს, ამაში მთავარი დამსახურება მიუძღვის **მ. ი. დრაგომიროვს** (1830—1905), —**XIX საუკუნის მეორე ნახევრის უდიდეს სამხედრო მოაზროვნესა და მწერალს.** დრაგომიროვის სამხედრო შეხედულებანი ჩამოყალიბდა 1853—1856 წ. ომის გავლენის ქვეშ, რომელმაც გამოამჟღავნა რუსეთის არმიის წყლულები. გარდა ამისა, დრაგომიროვის სამხედრო შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე იმოქმედა ევროპული არმიების საბრძოლო გამოცდილებამაც. 1859 წლის ომმა იტალიაში, ავსტრია-პრუსიისა (1866 წ.), ხოლო შემდეგ საფრანგეთ-პრუსიის ომმა (1870—1871 წ.) საშუალება მისცა პრაქტიკულად შეემოწმებინა ამ დროს გაბატონებული აზრი ახალი სწრაფსასროლი და შორსმსროლელი იარაღის გავლენის შესახებ ჯარების საბრძოლო წყობილებასა და მათ გამოყენებაზე სხვადასხვა გარემოებაში.

სარგებლობდა რა მილიუტინის მხარდაჭერით, დრაგომიროვმა შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რუსეთის არმიაში გაბატონებულ რუტინას, რომელიც იწვევდა რუსეთის არმიის გადაქცევას უსულგულო ავტომატად. დრაგომიროვმა მიზნად დაისახა აღედგინა რუსეთის არმიაში სუვოროვული სამხედრო ხელოვნებისა და აღზრდის ტრადიციები.

ბევრს ეჩვენებოდა—ახალი, უფრო სრულყოფილი იარაღი ძირფესვიანად შეცვლიდა ... ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთობას უკანასკნელის სასარგებლოდ და რომ იგი მთლიანად დაუმორჩილებდა ადამიანს ტექნიკას. დრაგომიროვმა სასტიკად გაილაშქრა ამ მცდარი შეხედულების წინააღმდეგ, იგი ამტკიცებდა, რომ „სამხედრო საქმეში პირველ ადგილზე დგას ადამიანი თავისი ზნეობრივი ენერგიით... ომში წარმატების მოპოვება შეუძლია ჯარებს და მათ უფროსებს, უფრო სრულყოფილი ტექნიკა წარმოადგენს მათი დადებითი თვისებების გამაძლიერებელ საშუალებას, უფრო სრულყოფილი მანქანა ადამიანის დამატებაა, მაგრამ მას არ შეუძლია მისი შეცვლა. ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ გაგიტაცებს იარაღის სრულყოფა და დაივიწყებ, რომ საუკეთესო იარაღი მოითხოვს საუკეთესო ადამიანსაც".

დრაგომიროვის მთელი ენერგია მიმართული იყო იქითკენ, რომ შეექმნა „საუკეთესო ადამიანი" — ჯარისკაცი და ოფიცერი. დრაგომიროვი ამტკიცებდა, რომ ჯარისკაცისადმი წაყენებული მოთხოვნები უნდა გამომდინარეობდეს თანამედროვე ომის ბუნებიდან. ამიტომ, რაც უფრო რთული ხდება იარაღი მებრძოლის ხელში, მით უფრო სრულყოფილი უნდა იყოს თვით მებრძოლი. „ჯარისკაცს, — ამბობდა დრაგომიროვი, — ესაჭიროება არა მუშტრი, არამედ აღზრდა".

დრაგომიროვი, ისე როგორც სუვოროვი, გამარჯვების უმნიშვნელოვანეს პირობად თვლიდა ჯარების მაღალ მორალურ მდგომარეობას. რუსი ჯარისკაცი მზადაა თავი გასწიროს, მხოლოდ მან უნდა იცოდეს, რომ ეს გამოწვეულია სამხედრო აუცილებლობით. ამიტომ ჯარისკაცი უნდა ენდობოდეს თავის მეთაურს და გრძნობდეს მის ზრუნვას.

სწავლების საქმეში დრაგომიროვმა ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა მოჩვენებითი მხარესთან და „პლაცპარადულ" გატაცებასთან, რომელნიც იწვევდნენ არმიის გადაქცევას ერთგვარ საბალეტო სკოლად. „ის რაც სასარგებლო არ არის ომში, მშვიდობიან სწავლებაში მისი შემოტანა საქმისათვის საზიანოა". სწავლება უნდა ტარდებოდეს საბრძოლო ვითარებასთან რაც შეიძლება მეტად მიახლოვებულ პირობებში. ამიტომ სასტიკად ეწინააღმდეგებოდა რა „მაგალითისათვის" ბრძოლების მოწყობას, დრაგომიროვი მთელ ყურადღებას აქცევდა იმ ძირითადი ელემენტების დამუშავებას, რომელთაგანაც შესდგება ბრძოლა. დრაგომიროვის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის არმიაში მან ტრადიციული მნიშვნელობა დაუბრუნა ხიშტს, როგორც შეტევის იარაღს. დრაგომიროვი მოითხოვდა ჯარების აღზრდას ხელჩართული ბრძოლისათვის. ყველა ბრძოლა როდი უნდა დამთავრდეს ხიშტით. მაგრამ ყოველ ბრძოლაში, მხარე, რომელიც მზადაა გამოიყენოს ხიშტი, უდაოდ სარგებლობს მორალური უპირატესობით მტრის წინაშე.

დრაგომიროვი სასტიკად ილაშქრებდა იმ „ცრუმეცნიერების" წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა სამხედრო ხელოვნება გადაექცია მზამზარეულ მათემატიკურ ფორმულების კრებულად. იგი სავსებით სწორად მიაკუთვნებდა სამხედრო საქმეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კატეგორიას. მისი გამოკვლევათა უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს მეომრული აღზრდის, სწავლებისა და ტაქტიკის საკითხები.

დრაგომიროვის ტაქტიკური და პრაქტიკული დასკვნათა შედეგები შეიტანეს მისი ტაქტიკის სახელმძღვანელოში და რუსეთის არმიის 1901 და 1912 წლების წესდებებში. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში დრაგომიროვი უდიდეს გავლენას ახდენდა ჯარების საბრძოლო მომზადებაზე. მისი მთელი რიგი ლიტერატურული შრომები ითარგმნა უცხო ენებზე, ისინი შევიდნენ მსოფლიო სამხედრო ლიტერატურის უდიდეს ნაწარმოებთა საგანძურში.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

*) დასაწ. იხ. № 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 118, 119.

უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეების მილოცვები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილისაგან მარშალ სტალინს

უდიდესი სიამოვნებით გილოცავთ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის წლისთავს, ვუსურვებ თქვენს ქვეყანას და პირადად თქვენ ყოველგვარ წარმატებას როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს, და ვლოცულობ იმისათვის, რომ კავშირი ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მრავალი სიკეთის წყარო იყოს ჩვენი ორივე ქვეყნისათვის, გაერთიანებული ერებისა და მთელი მსოფლიოსათვის.

მის აღმატებულებას მიხეილ კალინინს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ამ ნაციონალური წლისთავზე დიდი სიამოვნებით მოგესალმებით თქვენ და საბჭოთა კავშირის ხალხს. ამ გადამწყვეტ მომენტში, როცა წითელი არმია და შეერთებული შტატებისა და სხვა გაერთიანებულ ერთა არმიები ბრძოლებს ეწევიან გერმანიის მიწა-წყალზე, ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო მეტი რწმენით ველოდეთ, რომ ნაცისტ აგრესორებს მალე დავამარცხებთ და მივაღწევთ ჩვენს საერთო მიზანს — მტკიცე და სამართლიან ზავს და ყველა გაერთიანებულ ერთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის განგრძობას.

ფრანკლინ დ. რუზველტი.

წითელი არმიის უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ი. ბ. სტალინს

ნება მიბოძეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეშვიდე წლისთავის გამო იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და ხალხთა სახელით გულითადი მილოცვა და მგზნებარე ძმური სალამი გიძღვნათ.

იუგოსლავიის ხალხები და სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ამ დიადი დღესასწაულის გამო გამსჭვალული არიან სიხარულისა და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებისადმი უდიდესი მადლობის გრძნობით.

ოცდამეშვიდი წლის წინათ ბოლშევიკების დიადი საკავშირო კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, დიდი ლენინის მეთაურობით დიდი ოქტომბრის გაიმარჯვა, თქვენმა ხალხებმა მძლავრი საბჭოთა კავშირი შექმნეს.

თქვენი გენიალური წინამძღოლობით დღეს საბჭოთა ხალხები და სახელოვანი წითელი არმია ზეადამიანური ძალისხმევით ათავისუფლებენ გერმანული ფაშისტური მონობისაგან ევროპის ხალხებს.

გაუმარჯოს დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცდამეშვიდე წლისთავს!

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი იუგოსლავიის მარშალი ი. ბ. ტიტო.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის მარშალს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ოცდამეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც გმირი წითელი არმიის მძლავრი დარტყმებით ამჟამად ანადგურებს მთელი კაცობრიობის უბოროტეს მტერს — ჰიტლერულ ფაშიზმს, — კრაიოვა რადა ნაროდოვა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი უღრმესად მხურვალე, გულითად სალამს გითვლიან თქვენ, საბჭოთა კავშირის ბელადს, დიდი განმათავისუფლებელი არმიის უმაღლეს მთავარსარდალს.

კრაიოვა რადა ნაროდოვა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი საუკეთესო სურვილებს უძღვნიან მთელ საბჭოთა ხალხს, რომელსაც თავისთავად განთავისუფლებას უმადლიან ევროპის დაჩაგრული ერები და პირველ რიგში ჩვენი მრავალტანჯული პოლონელი ხალხი.

საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ველებზე ერთად დაღვრილი სისხლი და ყოველმხრივი ძმური დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი აღორძინების პროცესში მყოფ პოლონეთის სახელმწიფოს უწევს, სამარადისოდ განამტკიცებენ ურღვევ მეგობრობას სსრ კავშირისა და პოლონეთის ხალხებს შორის.

კრაიოვა რადა ნაროდოვას თავმჯდომარე—ბერუტი

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე—მორავსკი

ლუბლინი, 1944 წლის, 5 ნოემბერი.

მის აღმატებულებას მიხეილ ივანეს-ძე კალინინს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

თქვენი ეროვნული დღესასწაული კვლავ სასიამოვნო შესაძლებლობას მაძლევს გამოგიცხადოთ თქვენ ჩემი სახელით და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელით ჩვენი გულითადი, ღრმა გრძნობით გამსჭვალული მილოცვები. ყველგან ჩვენს სამშობლოში და განსაკუთრებით ჩვენი ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა არმიების ძლევამოსილი შეტევის მეოხებით უკვე განთავისუფლებულია და ჩვენ დაგვიბრუნდა, საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ დღესასწაულს სიხარულითა და მადლობით იღლესასწაულებენ. ჩვენ სულითა და გულით გისურვებთ, რომ საბოლოო გამარჯვებამ საშუალება მისცეს თქვენსა და ჩვენს ქვეყნებს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ ნორმალურ პირობებს და ახალ მშვიდობიან და ბედნიერ თანამშრომლობას.

დ-რი ედუარდ ბენეში

მოწინააღმდეგის ზარალი და უკრაინის მე-2 ფრონტის ნადავლი 1944 წ. 6 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა ამ წლის 6 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსპობილია: 416 თვითმფრინავი, 900-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1.450 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 790 ნაღმსატყორცნი, 420 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 3.000 ავტომანქანა, 30 ორთქლმავალი, 55 რკინიგზის ეშელონი, 750 რკინიგზის ვაგონი, 40 კარმაპი ტვირთიანად, 10 გემი, 8 ჯავშნიანი მატარებელი.

მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

ამავე ხნის განმავლობაში **უკრაინის მე-2 ფრონტის** ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 386 თვითმფრინავი, 138 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 836 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 680 ნაღმსატყორცნი, 1.795 ტყვიამფრქვევი, 49 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 953 ავტომანქანა, 181 ორთქლმავალი, 42 რკინიგზის ეშელონი, 5.660 რკინიგზის ვაგონი, 2 ჯავშნიანი მატარებელი, 24 კარმაპი ტვირთიანად, 286 საწყობი საომარი მასალით, სასურსათით და სხვა სამხედრო ქონებით.

ტყვედ წამოყვანილია 42.160 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, ტრანსილვანიისა და უნგრეთის ტერიტორიაზე **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარების შეტევითი ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგის ზარალი საბრძოლო ტექნიკის მთავარი სახეებისა და ცოცხალი ძალის მხრივ შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით—142.160 კაცს, 802 თვითმფრინავს, 1.038 ტანკს და თვითმავალ ქვემეხს, 2.306 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 1.470 ნაღმსატყორცნს, 469 ჯავშანმანქანასა და ჯავშანტრანსპორტიორს, 3.953 ავტომანქანას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

ისწავლე რუსული ენა

ГРАНАТА — გრანატი

ЧАСТИ ГРАНАТЫ — გრანატის ნაწილები

Отверстие —	ხვრელი; ნახვრეტი
Отверстие для выхода газов —	ნახვრეტი გაზების გამოსასვლელად
Петля —	კილო
Порох —	დენთი (თოფისწამალი)
Пороховой состав —	სადენთე (თოფისწამლის) შედგენილობა
Предохранитель запала —	ფალიის დამცავი
Предохранительная чека —	დამცავი ჭილაბი
Предохранительный взвод —	სავერცხალი (დაბალი) ფეხი
Предохранительный колпачок —	დამცავი ხუფი
Пружина колпачка —	ხუფის ზამბარა
Пружина рычага боевого взвода —	მაღალი ფეხის ბერკეტის ზამბარა

საზღვარგარეთ

პრეზიდენტის არჩევნების მიმდინარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (სატასი). დაზუსტებული ცნობებით, რაც მიღებულია დღეს 17 საათზე მოსკოვის დროით, ხმის მიცემის შედეგები პრეზიდენტის არჩევნებში 16 საათისა და 30 წუთისათვის მოსკოვის დროით შემდეგი იყო: რუზველტმა მიიღო 23.610.587 ხმა, დიუიმ—20.743.268 ხმა.

ხმის მიცემის შედეგებიდან ჩანს, რომ რუზველტი წინ არის 35 შტატში, რომლებსაც ჰყავთ 409 ამრჩევი, ხოლო დიუი წინ არის 13 შტატში, რომლებსაც ჰყავთ 122 ამრჩევი.

დღეს გამოირკვა, რომ ნიუ-იორკის შტატის სამხედრო მოსამსახურეთა ხმების 72 პროცენტი რუზველტმა მიიღო.

წინასწარი ცნობებით, ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 50 მილიონამდე კაცმა.

ხმის მიცემის შედეგების საბოლოო გამოანგარიშება ჯერ კიდევ არ მომხდარა.

დიუიმ აღიარა რუზველტის გამარჯვება

ლონდონი, 8 ნოემბერი. (სატასი). როგორც რეიტერის სააგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, დღეს დილით დიუიმ რადიოთი სიტყვა წარმოთქვა და განაცხადა: „არჩეულთა ცნობების მიხედვით, ცხადია, რომ რუზველტი მეოთხედ არის არჩეული, და როგორც წესიერი ამერიკელი გულწრფელად ვეთანხმები ხალხის ნებას და ვუსურვებ რუზველტს“.

როცა დიუიმ თავისი დამარცხება აღიარა, ამ დროს იგი წინ იყო მხოლოდ 14 შტატში და მხოლოდ 136 ხმა ჰქონდა, მაშინ როცა რუზველტმა წამყვანი მდგომარეობა დაიკავა [illegible] შტატში, რომლებსაც აქვთ 395 ხმა [illegible]

ბულგარეთმა დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა იაპონიასთან

სოფია, 8 ნოემბერი. (სატასი). როგორც სოფიის რადიო გადმოგვცემს, 6 ნოემბერს ბულგარეთმა დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა იაპონიასთან. ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს ამ გადაწყვეტილების შესახებ იაპონიის დესპანს სოფიაში აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

თეირანში დააპატიმრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27 წლისთავის აღსანიშნავი მიტინგის ორგანიზატორები

თეირანი, 7 ნოემბერი. (სატასი). დღეს დილით ირანის სამხედრო ხელისუფლებმა და პოლიციამ დააპატიმრეს თეირანის პროფკავშირთა და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც ამზადებდნენ ოქტომბრის რევოლუციის 27-ე წლისთავის აღსანიშნავი მასობრივი მიტინგის ჩატარებას თეირანში. მიტინგის ორგანიზატორებმა სამხედრო გუბერნატორი წინასწარ წერილობით გააფრთხილეს, რომ მიტინგი შეიკრიბებოდა მხოლოდ ამ წლისთავის აღსანიშნავად. მიუხედავად ამისა, ავრეთვე მიუხედავად მეჯლისის ზოგიერთი დეპუტატის პროტესტისა, პროფკავშირთა თეირანის საბჭოს შენობა დაიკავეს ჯარების რაზმებმა და პოლიციამ, პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა იქ მყოფი წარმომადგენელი დააპატიმრეს და პოლიციაში წაიყვანეს.

სადილის მთავრობის ეს მოქმედება იწვევს ყველა პროგრესიული წრის ღრმა აღშფოთებას.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარახველიძე

გ—059454

რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С